საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაბუნია გივი ანდრიას ძე

გაბუნია გივი ანდრიას ძე (დ. 21. VIII. 1944, თბილისი), არქიტექტორი. არქიტექტურის კანდიდატი (1975). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1967), 1973 მოსკოვის ცენტრ. სამეცნ.-კვლ. და საპროექტო ინ-ტის ასპირანტურა. მუშაობდა ტიპობრივი და ექსპერ. დაპროექტების თბილისის ზონალურ სამეცნ.-კვლ. ინ-ტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, არქიტექტურულ-საკონსტრუქტორო სახელოსნოს უფროსად (1974–80). არჩეული იყო საქართვ. არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავ-რის პირველ მოადგილედ (1980–83). საქართვ. არქიტ. და მშენებლობის საქმეთა მინისტრის მოადგილე (1991-იდან). ნამუშევრები: ქ. სოჭში – კიროვის სახ. სანატორიუმის რეკონსტრუქცია (1978; ვ. გვენეტაძესთან ერთად), სანატორიუმის ტიპის პანსიონატი 500 დამსვენებლისათვის (1986, I რიგი; ვ. წულაძესთან ერთად); გვინეის რესპუბლიკაში – 100-ადგილიანი საავადმყოფო (1979; გ. ხატიაშვილთან ერთად) და სხვ. არის თეორიული ნაშრომებისა და სტატიების, სატელევიზიო ფილმის „ძია სოსო“ (არქიტექტორ სოსო ზაალიშვილის შესახებ, 1979) სცენარის ავტორი, საქართველოს არქიტექტურის I ბიენალეს (1988) ლაურეატი და სხვ. ეწევა პედ. მოღვაწეობას საქართველოს ტექ. უნ-ტში (1990-იდან).

თხზ.: Формирование архитектурно-планировочной структуры общественных центров, М., 1978 (თანაავტ.: Б. Маминаишвили, В. Вардосанидзе).

ს. კინწურაშვილი